საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/33

09 აგვისტო 2012 წ. ქ. ბათუმი

2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის და მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-5 მუხლის მე-8 - მე-11 პუნქტების, 29-32 მუხლების, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 ივლისის №83 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2012 წლის 10 აგვისტოდან 03 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35; მწვანე კონცხი - აგრარული ტექნოლოგიების და ეკოლოგიის ფაკულტეტი; ფიროსმანის ქუჩა №12 - საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი.

ა) განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი - ოთახი №217ა, ტელ.: 27 56 96; მობ.: 577 50 22 00;

ბ) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი - ოთახი №513; ტელ.: 27 64 58; მობ.: 577 14 10 22;

გ) საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი - ოთახი №103; ტელ.: 27-49-23, მობ.: 577 11 51 33;

დ) აგრარული ტექნოლოგიების ფაკულტეტი - ოთახი 301; ტელ.:29 32 18; მობ.: 593 39 28 24;

2. მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (სპეციალური ფორმა);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი;

დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (და დანართის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 და ელექტრონული ვერსია კომპაქტ-დისკზე;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

ზ) მაგისტრანტობის კანდიდატის ანკეტა.

3. მისაღები გამოცდები ჩატარდეს რსუ-ს ბიბლიოთეკაში შემდეგ მისამართზე: ბათუმი, ნინოშვილის 35.

ა) მისაღები გამოცდა სპეციალობაში ჩატარდეს 2012 წლის 06 სექტემბერს (გამოცდის დაწყების დრო - I ცვლა - 10^{00} საათი; II ცვლა - 13^{00} საათი, III ცვლა - 16^{00} საათი, IV ცვლა - 19^{00} სთ)

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს გამოცდის დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 07/10/11 სექტემბერს რსუ-ის კანცელარიის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2012 წლის 12 სექტემბერს.

ბ) მისაღები გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2012 წლის 10 სექტემბერს (გამოცდის დაწყების დრო - I ცვლა - 10^{00} საათი; II ცვლა - 13^{00} საათი, III ცვლა - 16^{00} საათი, IV ცვლა - 19^{00} სთ)

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს გამოცდის დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 11/12/13 სექტემბერს რსუ-ს კანცელარიის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2012 წლის 14 სექტემბერს.

გ) რანჟირების დოკუმენტი გამოქვეყნდეს 2012 წლის 15 სექტემბერს;

4. გამოცდებზე დასასწრებად კონკურსანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

5. დაგვიანებული კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება.

6. 2012 წლის 15 სექტემბერს ფაკულტეტების დეკანებმა წარმოადგინონ იმ პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამისი ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის

უფლება, რის საფუძველზეც გამოიცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი მაგისტრანტობის კანდიდატების შესაბამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.

7. მეცადინეობა მაგისტრატურაში დაიწყოს 2012 წლის 01 ოქტომბერს.

8. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ-ს ფაკულტეტებზე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურთან და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რის უზრუნველყოფა დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ა. ბაკურიძე